ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №125

2021 წ. 22 ნოემბერი ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური- გაიოზ თალაკვაძე, ლევან მიქავა

სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოქალაქეები:

ანა დოლიძე(პ/ნ01009005937), ალექსანდრე რატიშვილი(პ/ნ 0102401395),ნინო წულაძე(პ/ნ 61001080130),მარიამ კუსიანი(პ/ნ 38001047079),მაკა ტოხიშვილი(პ/ნ 14001028349), ლაშა ანაკიძე (პ/ნ 42001039417), მიშიკო ირემაძე(პ/ნ 01901107448), ნათია მათიკაშვილი(პ/ნ 01027082621),თამარ კაციტაძე(პ/ნ 01025020297)

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან დარახველიძე, ვაჟა ოთარაშვილი, ვახტანგ შაქარიშვილი..
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომას თავმჯდომარეობდა დავით უთმელიძე.
სხდომის თავმჯდომარემ კომიიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ (15.11.2021; №12-032131941-03)
დღის წესრიგი დამტკიცდა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუეჯტის პროექტი კომისიის წევრებს წარუდგინა გაიოზ თალაკვაძემ.
მისი მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიანი მოცულობა განსაზღვრულია 1 199 917.0 ათასი ლარით, რაც 2021 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში, რომელიც შეადგენდა 1 050 302.5 ათას ლარს, მეტია 149 614,5 ათასი ლარით, ხოლო 2021 წლის დაზუსტებულ ბიუჯეტთან მიმართებაში ნაკლებია 28 409,9 ათასი ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განსაზღვრულია 1 144 817,0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

გადასახადები 752 368,2 ათასი ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 542368,2 ათას ლარს.

ქონების გადასახადი შეადგენს 210 000,0 ათას ლარს (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 15 000,0 ათასი ლარით).მ.შ:

საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 174 000 ათასი ლარი

ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 20 000,0 ათასი ლარი;

მიწაზე ქონების გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი.

გრანტები 219 005,0 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 13068,9 ათასი ლარით).

სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 219 005,0 ათასი ლარი

კაპიტალური გრანტები - 218 500,0 ათასი ლარი.

მ.შ. სპეციალური ტარნსფერი 175 000,0 ათასი ლარი, რომელიც გადანაწილდება სხვადასხვა კაპიტალურ პროექტებზე.

სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან- 43 500,0 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები 173 443,8 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 16 576,0 ათასი ლარით).

მათ შორის:

შემოსავალი საკუთრებიდან – 6 000,0 ათასი ლარი; (პროცენტები -3 000,0 ათასი ლარი, რენტა - 3 000,0 ათასი ლარი);

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია -110 227,3 ათასი ლარი.

მ.შ. ადმინისრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 109 277,3 ათასი ლარი;

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 50 000,0 ათასი ლარი;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 48 000,0 ათასი ლარი;

სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 50 000,0 ათასი ლარი;

ტრანსფერი რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული - 7 216,5 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის **ხარჯები** - განსაზღვრულია 918 438,8 ათასი ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 86 118,5 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 143 850,6 ათასი ლარი, პროცენტი 11 279,9 ათასი ლარი, სუბსიდიები 281 163,4 ათასი ლარი, გრანტები 485,7 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 168 892,8 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 226 648,1 ათასი ლარით.

არაფინანსური აქტივების ცვლილება

წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს - 205 847,6 ათას ლარს, მათ შორის:

არაფინანსური აქტივების ზრდა – 260 847,6 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლება – 55 000,0 ათასი ლარი (მ.შ ძირითადი აქტივები -საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან - 5000,0 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან - 4 000,0ათასი ლარი, არამწარმოებლური აქტივები (მიწა) - 46 000,0 ათასი ლარი).

ფინანსური აქტივების ცვლილება

ფინანსური აქტივების ცვლილება (100,0) ათასი ლარი;

ფინანსური აქტივების კლება – 100,0 ათასი ლარი.

ვალდებულებების ცვლილება

2022 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება (20630,6) ათასი ლარია, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებაა.

ვალის საპროგნოზო მოცულობა 2022 წლის ბოლოსთვის განსაზღვრულია 1 008 054,9 ათასლი ლარი (მ.შ. თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება 48 776,8 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება - 65 035,8 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა - 289 048,0 ათასი ლარი, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება - 270 982,5 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი- 34 324,5 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება III ფაზა - 299 887,3 ათასი ლარი). (მოცულობის გამოთვლისას გამოყენებულია საპროგნოზო გაცვლითი კურსი : 1 ევრო - 3.6131 ლარი, 15.11.2021წ.)

2022 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განსაზღვრულია 20 530,6 ათასი ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 1 199 917,0 ათას ლარს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 224753,9 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 50 490,1 ათასი ლარით)

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 236 062,6 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 41 426,1 ათასი ლარით)

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 138 817,1 ათასი ლარი; (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში შემცირებულია 10 127,0 ათასი ლარით.)

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1 845,0 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში შემცირებულია 2 319,4 ათასი ლარით).

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 41 115,2 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 1 957,9 ათასი ლარით);

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 176 487,0 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 22 350,8 ათასი ლარით).

განათლება - 202 686,9 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 27 592,9 ათასი ლარით).

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 43 805,5 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში შემცირებულია 3 550,3 ათასი ლარით).

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 5 218,8 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 815 ,5 ათასი ლარით).

ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 129 126,3 ათასი ლარი (2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 20 977,9 ათასი ლარით).

-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა პრიორიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების პროგრამისათვის გათვალისწინებულია 85 061,3 ათასი ლარი, მათ შორის რაიონების გზების მოვლა-შეკეთების ქვეპროგრამებისთვის ჯამში - 51 921,3 ათასი ლარი. ქალქის მასშტაბით გზების მშენებლობა და აღდგენა- 33 140,0 ათასი ლარი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებისათვის - 15 442,6 ათასი ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია - 94 250,0 ათასი ლარი, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია - 30 000,0 ათასი ლარი.

-ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება

პრიორიტეტში საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია - 31 784,2 ათასი ლარი, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება - 12 721,0 ათასი ლარი, საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები - 7980,3 ათასი ლარი, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია - 24 000,0 ათასი ლარი, ღონისძიებების უზრუნველყოფა - 9 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები - 61 500,7 ათასი ლარი. ქალაქის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში (65576,5 ათასი ლარი) გაგრძელდება უკვე დაწყებული პროექტების დაფინანსება, როგორიცაა ისტორიულ-კულტურული ძეგლების, სადარბაზოებისა, მუზეუმების და სხვა შენობების რეაბილიტაცია. ასევე, პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია ახალი მნიშვნელოვანი პროგრამა „ავარიული სახლების ჩანაცვლება“ -20 000,0 ათასი ლარით. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დაახლოებით 12-მდე ავარიული კორპუსის ახლით ჩანაცვლება.

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება

პრიორიტეტის ფარგლებში გამწვანების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 55 431,1 ათასი ლარი. დასუფთავების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 75 500,0 ათასი ლარი, მათ შორის თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის

გადასახდელად 5 500,0 ათასი ლარი. თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა 7 886,0 ათასი ლარი.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება პროგრამა ბიზნესის სტიმულირება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 385,0 ათასი ლარი, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები 250,0 ათასი ლარი, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში 50,0 ათასი ლარი, მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა 370,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა 600,0 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია 190,0 ათასი ლარი და სხვა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება

გლდანის რაიონში - 4 400,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 3 150,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 4 120,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 4 480,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 3 750,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 4 940,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 5 600,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 2 644,3 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 4 030,0 ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სახურავების შეკეთება (ბრტყელი და ქანობიანი გადახურვა), ლიფტების მიმდინარე შეკეთება და რეაბილიტაცია, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობების შეკეთება, სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები, შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები და სხვა ღონისძიებები.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 23 990,9 ათასი ლარი, მათ შორის გათვალისწინებულია და გრძელდება დაავადებათა სკრინინგის, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების, დაავადებათა სკრინინგის ფარგლებში გამოკვლევების და ტრანსპლანტაციის დაფინანსება.

სოციალური დაცვის პროგრამებისთვის ჯამში გათვალისწინებულია 152 496,1 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში გრძელდება ქვეპროგრამები, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში, საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მეტროთი და საბაგიროთი უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურებისათვის. სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ქვეპროგრამა დაგეგმილია 14 000,0 ათასი ლარის ოდენობით, სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში 21 120,3 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში - 26 308,1 ათასი ლარი, კომუნალური სუბსიდრება - 8 500,0 ათასი ლარი, საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით მეტროთი რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურება - 37 000,0 ათასი ლარი.

პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია ახალი ქვეპროგრამები, მათ შორის საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება - 10,000.0 ათასი ლარი. ასევე, 2022 წლის ბიუჯეტით ამოქმედდება უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების ახალი პროგრამა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ცალკეული ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტილებების სანაცვლოდ მუნიციპალიტეტს საკუთრებაში 10 000-ზე მეტი კვმ საცხოვრებელი ფართი გადაეცა, რომელიც ამ ეტაპზე

მშენებარეა. პროგრამა ითვალისწინებს ამ ფართების გაყიდვას და მათ ნაცვლად საცხოვრებლად მზა და ვარგისი ფართების შეძენას უსახლკაროს სტატუსის მქონე ოჯახებისთვის. 2022 წლისთვის პროგრამის ოდენობა 5 000,0 ათასი ლარი იქნება, რაც იმას ნიშნავს, რომ მოხდება ამ ღირებულების მუნიციპალიტეტის კუთვნილი მშენებარე ფართების გაყიდვა და ამავე ღირებულების სხვა ფართების შეძენა.

განათლება

პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას 168 461,8 ათასი ლარის ოდენობით, გრძელდება დაწყებული პროექტების დაფინანსება, მათ შორის: 5 ახალი საბავშვო ბაღის დასრულება და 3 ავარიული საბავშვო ბაღის შენობის დემონტაჟი, მშენებლობა და გამაგრება.

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

2022 წელს გაგრძელდება მუნიციპალური თეატრების დაფინანსება, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა, სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები, მწრთვნელთა მხარდაჭერა, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა და სხვა კულტურულ-სპორტული ღონისძიებები. სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ქვეპროგრამის ფარგლებში გრძელდება მულტიფუნქციური სპორტული ცენტრების მშენებლობა დიდ დიღომში და ვარკეთილში და სხვა.

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამა - ცხოველთა მონიტორინგი - 1350,7 ათასი ლარით და პროგრამა - თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა - 867,1 ათასი ლარით.

ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები

პრიორიტეტის ფარგლებში განსაზღვრულია ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი - 5 000,0 ათასი ლარის ოდენობით და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 4 517,5 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა, მათ შორის, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება - 16 395,8 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება 5614,2 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა - 3 200,0 ათასი ლარი, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება - 3 000,0 ათასი ლარი. დაიწყება თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება III ფაზა - 3 320,0 ათასი ლარი,თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი- 380,0 ათასი ლარი.

დავით უთმელიძემ აღნიშნა, რომ 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილა ყველა კომისიამ. კომისიაში წარმოდგენილია ყველა მუდმივმოქმედი კომისიის და ფრაქციების: „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს, „ქართული ოცნება-მრეწველები“-ს, „თბილისი“-ს და „კონსერვატორები და დამოუკიდებელი წევრი“-ს, ასევე საკრებულოს წევრის ნინო რუხაძის შენიშვნები და რეკომენდაციებები 2022 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.

მან მოკლედ გააცნო კოისიის წევრებს კომისიაში წარმოდგენილი ძირითადი შენიშვნები და წინადადებები.

ფრაქცია „კონსერვატორები და დამოუკიდებელი წევრი“ წინადადებაა:

1. ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ბიუჯეტის ზრდა.

2. მუხიანის აგარაკებზე სამეგრელოს და გამარჯვების ქუჩებზე გზის კეთილმოწყობა.

3. ასევე სასურველია სკოლამდელ აღსაზრდელთა დაწესებულების აღმზრდელთა ანაზღაურების ზრდა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია

რაიონის გამგეობების დაფინანსება, მათი ტერიტორიების, მოსახლეობის რაოდენობის, რაიონში არსებული ინფრასტრუქტურული და სოციალური პრობლემების მასშტაბების გათვალისწინებით.

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია

გაიზარდოს ბიზნესის სტიმულირების პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებები, ვინაიდან პროგრამის ფარგლებში მომავალი წლისათვის იგეგმება მრავალი მნიშვლელოვანი ღონისძიების განხორციელება

თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები- პროგრამის ასიგნებების გაზრდა

რეკომენდაცია იქნება ქალაქ თბილისის 2022 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნას ტურისრული მოსაკრებელი, რაც დამატებითი შემოსავალი იქნება ქალაქისათვის.

გარემოს დაცვის კომისიის წინადადებაა,

1. მცენარეთა შესყიდვის პროექტისთვის საჭირო დაფინანსება 10 000 000 (ათი მილიონი) ლარის ოდენობით;
2. ქ. თბილისში, სხვადასხვა ტერიტორიაზე მწვანე თარგებიდან სტრუქტურა დარღვეული ნიადაგის ფენის მოშორების და მისი ნოყიერი და ყამირი ფენით შევსების პროექტისთვის საჭირო დაფინანსება 600 000 (ექვსასი ათასი) ლარის ოდენობით;
3. სარწყავი სისტემის მოწყობის პროექტისთვის დაფინანსების გაზრდა არანაკლებ 100 000 (ასი ათასი) ლარის ოდენობით და პროექტის მთლიანი დაფინანსების განსაზღვრა არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით;
4. სკვერების/პარკების მოწყობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში:
    1) სარაჯიშვილის ბულვარის პროექტისთვის საჭირო დაფინანსება 6 000 000 (ექვსი მილიონი) ლარის ოდენობით.
    2) სამგორის პარკის პროექტისთვის საჭირო დაფინანსება 3 000 000 (სამი მილიონი) ლარის ოდენობით.
    3) ავჭალის პარკის პროექტისთვის საჭირო დაფინანსება 1 500 000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ოდენობით.
    4) ქ. თბილისში, სოფელი გლდანის პატარა ტბის პარკის სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო დაფინანსება 3 750 000 (სამი მილიონ შვიდას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

სარევიზიო კომისია

შენიშვნები, რომ 2022 წლის ბიუჯეტის პროექტისა და თანმხლები ინფორმაციული დანართების შესწავლით ვლინდება სხვადასხვა სახის ხარვეზები, კერძოდ:

- სხვადასხვა მხარჯველი სუბიექტის მიერ წარმოდგენილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში ერთგვაროვანი სამუშაოები გაანგარიშებულია მნიშვნელოვნად განსხვავებული ფასებით.
- შეცდომებია დაშვებული მხარჯველი სუბიექტის მიერ წარმოდგენილ სამუშაოების ღირებულების გაანგარიშებებში.

- მიზანშეწონილად მიაჩნიათ რაიონული გამგეობების შედარებით თანაბარზომიერი დაფინანსება და აღნიშნული დაფინანსების კრიტერიუმების გამჭირვალეობა, მ.შ. ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით, როგორიცაა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა და სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები, რათა გამგეობების შესაძლებლობები შედარებით გათანაბრდეს.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის ანალიზით,

სატრანსპორტო კომპანიის სუბსიდია (კოდი 01 02 05), რომლის მიზანია საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება. ქვეპროგრამის ფარგლებში, სუბსიდიის სახით უნდა დაფინანსდეს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.

ასევე, 2022 წლისთვის იგეგმება M3 კატეგორიის 18 მეტრიანი და 8 მეტრიანი ავტობუსების შეძენა, რომლებიც მარშრუტებზე გაშვების შემდგომ, ავტომატურად უნდა ჩაერთონ სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში. მოცემული ღონისძიებების მასშტაბებიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული თანხა (30 000,0 ათასი ლარი) არ არის საკმარისი ქვეპროგრამის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის. აქედან გამომდინარე, კომისია მიზანშეწონილად თვლის, ზ/ა ქვეპროგრამაში დამატებითი თანხების გათვალისწინებას.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ვარაუდობს, რომ 2022 წელს ერთეული აბრის დამზადება-მონტაჟის სახელშეკრულებო ფასი მოიმატებს, რაც ბუნებრივად გამოიწვევს 2022 წელს განსათავსებელი აბრების რაოდენობის შემცირებას. იმის გათვალისწინებით, რომ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ათასობით შენობა-ნაგებობა კვლავ აბრის გარეშეა, განსათავსებელ აბრათა რაოდენობის შემცირება კომისიას მიზანშეუწონლად მიაჩნია.

აბრების დამზადება-მონტაჟის სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხები (02.09.01) უნდა გაიზარდოს 750 000 ლარამდე.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

სპორტული მოედნების მშენებლობა-რეკონსტრუქცია (კოდი 08.06.03) ქვეპროგრამაში მოთხოვნილია 1 500,0 ათასი ლარი, რაც სკვერებში სკეიტპარკებისა და სპორტული მოედნების მოწყობას უნდა მოხმარდეს.

სპორტული დაწესებულებების მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და მშენებლობის (კოდი 08.06.04) ქვეპროგრამაში მოთხოვნილია დამატებითი ფინანსები, კერძოდ:

ახალი მულტიფუნქციური ცენტრის პროექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებისთვის 400,000 ათასი ლარი და 1 500, 0 ათასი ლარი მისი მშენებლობისთვის;

8 000,0 ათასი ლარი წყნეთის გზატკეცილზე, დახურული ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის მოედნის მშენებლობისთვის;

2 500,0 ათასი ლარი ა(ა)იპ „გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის" სტრუქტურული ერთეულის გლდანის აუზის რეაბილიტაციისთვის;

3 500,0 ათასი ლარი სოფ. დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის მშენებლობისთვის;

1 000,0 ათასი ლარი ა(ა)იპ „ისან-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის" სტრუქტურული ერთეულის, ჩოგბურთის კორტების ბაზაზე, სპორტსმენთა სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობისთვის;

6 500,0 ათასი ლარი ვარკეთილის მულტიფუნქციური ცენტრის, სოფ. დიდი ლილოს სპორტული კომპლექსის, ასათიანის ქ. #50 მდებარე სპორტული ცენტრისა და წყნეთის გზატკეცილზე ფეხბურთის მოედნის აღჭურვისთვის;

50,0 ათასი ლარი ვარკეთილის მულტიფუნქციური ცენტრის გაზიფიცირებისთვის.

ასევე აღნიშნავენ, რომ ბიუჯეტის გადამუშავებულ ვერსიაში საჭიროა ნაჩვენები იყოს მწვრთნელთა მხარდაჭერის ქვეპროგრამისთვის (08.06.02) გამოყოფილი თანხების დეტალური განაწილების პრინციპი, რაც კალენდარული წლის განმავლობაში ბენეფიციართა ანაზღაურების მატებას გულისხმობს.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წინადადებაა ქვეპროგრამაში, საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება (კოდი: 06 02 08) სადაც აღნიშნულია ქ. თბილისში, სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკის პირების, დახმარება რომელთა ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 80 000-ს, გადაიხედოს სარეიტინგო ქულათა რაოდენობა და გაიზარდოს 200 000 მდე.

განათლებისა და კულტურის კომისია,

მულტიფუნქციური ბიბლიოთეკებისა და გაერთიანების ხელშეწყობის (კოდი 07 03 03) მიზნით, ბიუჯეტში მოხდეს დამატებითი თანხების მობილიზება, რომლითაც ბიბლიოთეკების მოდერნიზების პროცესი სრულ შესაბამისობაში იქნება თანამედროვე გამოწვევებთან.

კომისია რეკომენდაციას უწევს კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებებისთვის (კოდი 08 04 04) დამატებითი ასიგნების გამოყოფას, რითაც შესაძლებელი იქნება ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის №28 ხელოვნების სკოლის რეაბილიტაცია და კულტურული ობიექტების საჭირო ინვენტარით აღჭურვა.

საკრებულოს წევრის ნინო რუხაძის წინადადება

(ა)იპ ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების ბაზაზე მოქმედი პროექტის - „მეგობრობის სახლი" თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების გაზრდის შესახებ. აღნიშნავს, რომ პროექტის - „მეგობრობის სახლი" ფარგლებში ხორციელდება თბილისში მცხოვრები სხვადასხვა

უმცირესობებისთვის გამიზნული კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტები. ეროვნული ვალუტის ინფლაციის დონისა და შრომის ანაზღაურების სიმწირის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ფარგლებში პროექტის - „მეგობრობის სახლი" თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების გაზრდას.

აღნიშნულის განხილვის შემდეგ კენჭისყრაზე დადგა საკითხი „ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუეჯტის პროექტი" წარმოდგენილი წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს საკრებულოს დადგენილების პროექტი „ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუეჯტის შესახებ" კომისიებისა და ფრაქციების რეკომენდაციებთან და შენიშვნებთან ერთად დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე **დავით უთმელიძე**